ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

დამატების № 105. | ქვირა, 30 მარტი 1903 წ. | გაზეთის № 2110.

დამნაშავე

ამბავი

სადგურ №-ზედ გაცხარებული მუშაობაა. მატარებლები მიდი მოდიან. ორთქლმავლების კვიცილი, ვაგონების გრიალი, სადგურის ზარის რეკა, მსახურების ძახილი, მეისრების ბუკების ხმა ერთმანეთშია არეული. ყველა საქმიანობს. მორიგეები ეკოხტიბიან აქეთ-იქით სადგურებს, გაქცეთ თუ არა ადგილი, რომ მატარებელი მიიღოთ, ან თქვენ როდის გამოჰგზავნითო; თან ბრძანებას აძლევენ, ეს ამ ლიანდაგზედ მიიღეთ, ის იმიზეო. საქონლის გასაგზავნ განყოფილებაში გაცხარებული აწონვაა ბარგისა, ვაგონების დაბარგვა და დაცლა. მატარებლების შემდგენელნი ხან უკან წაიყვანენ ვაგონებს, ხან წინ, ზოგს ხსნიან, ზოგს უმატებენ. მეისრენიც ხან აქეთ სწევენ ისარს, ხან იქით.

მეისრე პეტრეც სდგას თავის საკარაულოს წინ და ისარს შესაფერად აქეთ-იქით ეწევა. იმას სულ განაპირა ისარი აქვს ჩაბარებული, სადაც ერთდება ორი სხვა და ხეკი მხრიდან მომავალი გზა. იქვე აქვს ერთი პატარა ოთახი და დღე-და-ღამ არა ჰშორდება იქაურობას. იმისი ოთახი სადგურთან ტელეფონითაა შეერთებული. დაუძახებენ სადგურიდან, მატარებელი გამოვიდა და ამა და ამ ლიანდაგზედ მიიღეო; ისიც გამოვა, ისარს შესაფერისად მოაწყობს შეკვანე ბაიჩოლს უჩვენებს და გაუთავდა. ეს, როგორც თითონ ამბობს ხოლმე, ძნელი საქმე არ არის, თუმცა ხან-და-ხან მთელი დღე ფეხზედ დგომა უხდება, ბეერჯელ ღამე უძილობაც, მაგრამ მაინც კმაყოფილია. „მთელი დღე მიწის მუშობას, როდესაც წელში მოხრილს ზურგში სიცხე გაპერს, ხვიფქი ჩაბოგდის, ბეერჯელ წყურვილიც გაუუხებს და წყალს ვერა შოულობ... მერე ისიც მოსაცალი ან მოგა ან არა და ტყუილად ჩაგევლის მთელი ამაგი... მწ! არა! ისე აქა სჯობიან!“ დაამბოლოვებდა ხოლმე პეტრე.

ეი, ამიტომ იყო, რომ სიხარულისაგან ფეხზედ აღარ იდგა პეტრე, როდესაც ზარშან ეს სამსახური მიიღო. თუმცა ბევრი მისვლა-მოსვლა დასჭირდა, ბევრი თავის დამკირება, ხვეწნა და შუდარა, მუხლებზედ კოცნა და სხვა გვარი „პატივისცემა“, მაგრამ ბოლოს გამარჯვებამ ყოველივე გადაავიწყა. ჰეტრე ბედნიერად ჰგრძნობდა თავს. მიიღწია მიზანს, განუხორციელდა ფიდი ხნის ოცნება. ეს ოცნება მაშინვე დაებადა, როცა სადგურზედ ბარგის გადამტანის ხელობას შეუდგა.

ლოცვა.—სურათი ფეოდოსისა.

პეტრემ დაიწყო სამსახური გულმოდგინედ. როგორის გულის კანკალით მიიღო პირველი ჯამაგირი—თვრამეტი მანეთი! უნდა კაცი პეტრეს მდგომარეობაში იყოს, რომ გამოსცადოს ის სიხარული... პეტრეს არა სჯერიოდა, რომ ეს „ამოდენა ფული“ იმისი საკუთრება იყო. მალი-მალ იღებდა ყუთიდან, ესაყვარლებოდა, ეფასედ გადასთვლიდა და ისევ შეინახავდა.

პეტრემ სამსახური იშოვა, მუდამ გადაჭრილი ჯამაგირი ექნება; მძიმე ტვირთების გადატანა წელს აღარ ატკენს; ხელში შემაყურებელი ადარ იქნება მგზავრებისა, ანა რას მაჩუქებენო. ამასთან აქვს საკუთარი, „სახეიმწიფოთა“ მიკემული, ერთი პატარა ოთახი, ბედნიერია, მაშ რა არის!..

დიახ, ბედნიერად ჰგრძნობდა პეტრე თავს და სამსახურსაც გულმოდგინედ ასრულებდა, რაც უფროსებმაც კი შენიშნეს. უფროსების აზრი კი ამისთვის ბევრსა ჰნიშნავდა, რადგან ამათ ხელში იყო. ერთს მშვენიერს დღეს შეეძლოთ უმიზეზოდ დაეთხოვნათ იგი და ულუკმა-პუროდ დაეგდოთ. ანა, რა დიდი მიზეზი უნდა „უბრალო მეისრის“ დათხოვნას! ამის გახსენებაზედ პეტრეს შიშის ცრუანტელი გაუვლიდა ხოლმე. „დავრჩები ულუკმა-პუროდ ისევ სხვის ხელში შემაყურებელი! სოფელში ვეღარ დავბრუნდები, ვეღარ გავძლებ. ან და რას მომიტანს სოფელი? მამული მე აღარა მაქვს და დედული! ერთი დღის მიწა მერგო წილად, როდესაც ბიძეებს გავეყარე და ისიც ამათ მიეყიდე... რაში გამომადგებოდა! ისიც მიკვირს, ან ჩემი ბიძები რითი სცხოვრობენ? ვაი ამათ ცხოვრებას, განა ამას ცხოვრება ჰქვიან?! ეგენი კიდევ გაჰანჩალებენ თავიანთ წუთა-სოფელს, მაგრამ რაღა უნდა ჰქნან ამათმა შვილებმა? თითოს ოთხ-ოთხი ვაჟი ჰყავს და აბა რა შეჰხედებათ?!... მე ვატყობ, ისინიც აქ დამიკრამენ თავს და მე იქ ავიდე? მაშ რა ვქნა, რომ გამომგდონ? ისევ უნდა ბარგი ვზიდო, ისევ გლახაყეთ მგზავრებს შევეკერო ხელში, აცა რას მაჩუქებენ... „არა არ შემიძლიან!“ წამოიძახებდა ხმა მაღლა პეტრე და საქმეს უფრო ერთგულობდა.

კაცის ბუნება ისეა მოწყობილი, რომ თუ ერთი სურვილი და ოცნება შეუსრულდა, ახლა სხვა წამოეკიბება წინ, ამასაც რომ შეისრულებს, სხვა აღმოაჩნდება და ასე ამგვარად დაუსრულებელ სურვილების ბუდეა კაცი. პეტრესაც, რაკი მეისრობა ხელთ იგდო, ახლა ერთი კიდევ სხვა აზრი დაებადა, რაზედაც ამ ერთის თვის წინად, სანამ მეისრე გახდებოდა,

ფიქრსაც ვერა ჰბედავდა. ეხლა კი იმისი ოცნება შორს გაფრინდა და გულმა სიამოვნებით უწყო ძგერა.

„ჰმ, ვითომ რა! ეხლა განა არ შემიძლიან ჩემი ანიკო ვითხოვო? — გაიფიქრებდა ხოლმე პეტრე. მერე, რა არის აქ



† ბ. ბ. კუმსეოი
1-ლ გიმნაზიის ინსპექტორი.

შეუძლებელი! მოვაგროვებ ცოტაოდენ ფულს, სუფთად ჩავიცვამ და დავიხურამ და ქორწილისთვისაც მეყოფა. რა ბედერ მე მომინდება! მოვიყვან ჩემს საყვარელს, კოხტა ანიკოს ამ პაწწა ოთახში და... ვიცხოვრებთ ტკბილად. შემდეგში დამეხმარება კიდეც, ბაიროს ვერ უჩვენებს თუ?! ეხლა რომ მთელი დღე და ღამე სულ ამ ისარსა და მატარებლებზე მიპირავს თვალ-ყური და ტკბილად ვერ დამძინია, მაშინ შემეძლება ხან-და-ხან არხეინად დავიძინო და ჩემი ანიკო თვალს დაიკერს მატარებლებზედ და დროზედ გამაღვიძებს. სამაგიეროდ, მეც ამისთვის სულს არ დავიშურებ... მაგრამ, ეჰ, როდის იქნება ეს დრო?!“

ეს ფიქრი ისე გაიტაცებდა ხოლმე პეტრეს, ისე ცხადად წარმოიდგენდა თავის ანიკოს, რომ ეგონა აგერ გვერდზედ მიზისო და თუ ცხადად არა, ოცნებით მაინცა სტკებოდა. ამ ოცნებიდან მაშინ გამოერკვეოდა, როდესაც მეორე მეისრეს ბუკი დაიღმუილებდა და ამით აცნობებდა, მატარებელი მოდისო, ან როდესაც სადგურიდან ტელეფონით შეატყობინებდნენ, ამა და ამ მხრიდან გამოვიდა მატარებელიო. პეტრე ზანტად გადასწევდა ისარს და ცალის ხელით მწვანე ბაიროს მოიმარჯვებდა.

პეტრემ დაიწყო ფულის მოგროვება, ყველაფერს იკლებდა და რამდენსამე მანეთს მუდამ ინახავდა. ბოლოს გაჰბედა, დაეთხოვა ორის კვირით და, როგორც იყო, ანიკოზე ჯვარი დაიწერა.

უნდა გენახათ, რა მხიარულად იყო პეტრე! აუსრულდა გულითადი წადილი! იგი უბედნიერეს კაცად სთვლიდა თავის თავს. ანიკო იმას ეკუთვნის, ეხლა აღარ დასჭირდება სიყვარულის დფარვა და აშკარად დაიწყებს ალერსს... პეტრე სიხარულისაგან ხტოდა, თამაშობდა, ხუმრობდა; თან სცდილობდა სტუმრებს კარგად დახვედროდა და თავი არ შეერცხვინა. პეტრე რკინის გზის მოსამსახურეა, სამსახურის კაცია! მაზარას მაგიერად, რომელშიაც სხვა სტუმრები იყვნენ გამოწყობილნი, იმას ლუჯა არშიანი პალტო აცვია, ქუდზედაც ნიშანი აკრავს. ამეებით თავი მოჰქონდა პეტრეს სოფელელებთან და ბევრი ახალგაზდა ბიჭი უყურებდა შურით, რომ იგი „ტრელჩიკია,“ სამსახურის კაცი...

დასახლდა პეტრე თავის პატარა ოთახში და მხიარულად, დაუზარებლად აკეთებდა საქმეს. როცა მოასწრობდა, შეევარდებოდა ოთახში, სადაც იმისი ცოლი ფუსფუსებდა, მიუალერსებდა, მიუსაყვარლებდა, ერთი-ორჯელ გაშმაგებით აკოცებდა და ისევ საქმეს გაჰხედავდა. და ასე მუდამ... დიახ, ბედნიერი იყო პეტრე და ეხლა მხოლოდ იმ დროს-და მოელოდა, როდესაც შვილი გაუჩნდებოდა და ერთის მაგიერ ორი საყვარელი არსება ეყოლებოდა.

— ჰა, დედაკაცო! — ეტყოდა ხოლმე ცოლს. — რას იტყვი, კარგი არ იქნება ეხლა ერთი ბუტკუცუნა ბიჭი გვეჰიროს ხელში და...

— წადი იქითა! — დარცხვენით ჩაჰღუნავდა ანიკო თავს.

— არა, მართლა რა კარგი იქნება და! ხელში რომ აიყვან და მომიალერსებს! უი დადადაი!

— იჰ, ნეტავი შენა!

— კარგი, ჭალო, ნუ იცი ხოლმე გაჯავრება! ამა, ერთი თვალებში შემომხედე, თუ მართლა მიჯავრდები!

ანიკო აწითლებულის სახით და სიყვარულით სავსე თვალებით ეშმაკურად შეჰხედავდა პეტრეს. პეტრე აენთებოდა, დაე კონენობდა ცოლს გაშმაგებით, თითქო უნდა მთლიანად აიყვანოს და გულში ჩაისვასო.

ასე მიდიოდა იმათი ცხოვრება. ზამთრის ერთ ცივ ღამეს პეტრეს ტკბილად ეძინა ტახტზე. ანიკო გვერდზე მოსჯდომოდა და რაღაცას ჰკერავდა. მალ-მალ გადაჰხედავდა მძინარე ქმარს, გაიღიმებდა და ისევ საკერავს ჩააკერდებოდა. ღუმელი მხიარულად გუგუნებდა და ოთახს გადამეტებით ათბობდა. ამ სითბოს ანიკოსთვის ლოყები წამოეწითლებინა. გარეთ კი ქარი საზარლად ღმოდა და წიოდა, თოვლს აპრიწიალებდა ჰაერში და საშინელი კორიანტელი იდგა.

უეცრად ტელეფონი დაუძახეს, მატარებელი გამოვიდაო. ანიკომ გადაჰხედა პეტრეს, რომელსაც ძილში ამ დროს სახე

გაზეთხელა. — სერგეი ბაღდასარი.

უღიმოდა, ეტყობოდა, ტკბილ სიზმრებში იყო. დაეპირა გაღვიძება, მაგრამ შეეცოდა, დაღალულიაო. თითონ უცებად გავარდა გარედ, რომ დროზედ მივასწროვო. არც ფეხზე ჩაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვამს, არც თავზე მოუხვევია რამე. დგას ისართან ანიკო, მატარებელს უცქერს; თან სიცივე აკანკალებს. მატარებელი კი არსადა ჩანს. მხოლოდ ათის წუთის შემდეგ მოვიდა მატარებელი და ანიკოც ძაბაგაგებული შინ შებრუნდა. პეტრეს არა გაუგია-რა.

მეორე დღეს ანიკომ რაღაც უქეიფობა იგრძნო. სცდილობდა დაეფარა და მხიარულად ყოფილიყო, მაგრამ პეტრეს ვერ გამოეპარა მისი ცვლილება.

— რა დაგემართა, რათა ხარ აგრე? ხომ არა გტკივარა?

— რა უნდა მტკიოდეს?—მიუგო ანიკომ.

— არა, ნუ მიმალავ, მე გატყობ, რომ რაღაცა გტკივა...

— ჰო, ცოტა აქ...—დარცხვენით დაიდო მუცელზე ხელი ანიკომ, თუმცა თავი სტკიოდა და არა მუცელი.

პეტრე აენთო სიხარულისაგან.

— ჰო, ვიცი, ვიცი! აი, შე კუდიანო, შენა! აბა, ვინძლო ბიჭი იყოს, თორეს...—ალერსიანად თითი დაუქნია და მხიარულად გარეთ გავიდა.

ანიკოს უხაროდა რომ ქმარი ასე აღვილად მოატყუა.

მაგრამ საქმე სხვანაირად წავიდა. ორის დღის შემდეგ ანიკოს დიდი სიცხე მისცა და მარცხენა გვერდში ქვალი დაადგა.

პეტრე დარდისაგან მთლად აირია და აღარ იცოდა, რას სჩადიოდა. თავს ეელებოდა ანიკოს, ყოველ იმის სურვილს ასრულებდა, ულალრსებდა.

აგერ ეს ერთი კვირაა, რაც ანიკო ავად არის და უკეთესობისა არა ეტყობა რა, სულ უკან უკან მიდის. ამიტომ არის პეტრე დღეს ასე დაღონებული, ამიტომ ჩამოსტირის სახე, დგას თავის ისართან და, კვლავ ხალისიანი და მხიარული, უგულოდ აკეთებს საქმეს.

„ხომ დავიღუპე, დავნელდი! რაღად მინდა თავი ცოცხალი, მაგას რომ მოუვიდეს რამე... არა, არა,“ ღმერთი არ დამკარგავს! თუ მომცა, აღარც წამართმევს!“

პეტრე ოხრავს, სცდილობს მწარე ფიქრები თავიდან მოაშოროს, მაგრამ ვერასა ჰხდება. აგერ, როგორც ღრუბლიან ცაზედ მოულოდნელად მზემ გამოაშუქოს, ისე უცბად მოაგონდა ის დრო, როდესაც ანიკო პირველად შეუყვარდა, როდესაც თავის გრძნობას ღიმილით თუ გამოაჩხატავდა, თორემ ახლო მიკარებას როგორ გაჰბედავდა. შემდეგ თან-და-თან დაუახლოვდა, ბოლოს მარტონაც რჩებოდნენ და ერთხელ... გაჰბედა და აკოცა კიდეც. ოჰ, რა ტკბილი იყო ეს პირველი კოცნა! თითქო ეხლა ხდებაო ეს ამბავი, პეტრეს ესმის ანიკოს სიტყვები.

— აი შე გიჟო, გიჟო, რასა შვრები, არა გრცხვენიან?!

— არაფერი, არაფერი!—ეუბნება აღელვებული პეტრე და უფრო ეხვევა.

— პეტრე, მიშველე!—მოესმა ამ დროს სახლიდან.

პეტრე შეკრთა, ოცნება გაჰქრა. მოაგონდა სინამდვილე და ცრემლები დაპა-ღუპით ჩამოუვიდა... იგი გიჟივით შევარდა სახლში.

— რა გინდა, შენ გენაცვალე?—მიაძახა კარებიდანვე და თვალის დახამამებაზე მიიკრა ლოგინთან.

ანიკოს თვალები უაზროდ დაეკუტა და ჭერში მიეშტერებინა, ძმიდან სუნთქავდა და ყელში ხრიალებდა. სულთ-მობრძავი იყო.

პეტრე გაშრა ერთს ადგილას, უაზროდ დასცქეროდა მოშაკდეს და გონზედ ვეღარ მოსულიყო. ისე გაშტერებულიყო პეტრე, რომ კაცს ამ ქვეყნად აღარ ეგონებოდა. ამ დროს სადგურიდან ანიშნეს, მატარებელი გამოვიდაო, მაგრამ პეტრეს აღარა ესმოდა რა, აღარა გაეგებოდა რა. მივარდა ანიკოს ლოგინს და მორთო ქვითინი.

— შენ გენაცვალე, ანიკო, ჩემო ერთგულო, ჩემო დამტირებელო!... ეგრე რად იტკირები!.. ერთი კიდევ შემომხედე შენებურად... ერთი კიდევ გაიღიმე... ვიმეი, მიშველეთ!—ღრიალებდა გამწარებული პეტრე, მაგრამ ანიკოს არა ესმოდა რა და ხრიალს უმატებდა.—მე რაღას მიშვრები, მე?—ჩასძახოდა პეტრე.—ეს იყო შენი სიყვარული, რომ შენ პეტრეს ობლად სტოვებ?!..

ანიკომ, თითქო გაიგონაო, უაზროდ გადმოატრიალა თვალები და წაილუღლუღა:

— პ... პ... პ... ე.. ე.. ტ... რრრ...

პეტრე დაეკონა, ზედ დააკედა, მაგრამ ანიკომ ამ დროს ფართხალი დაიწყო, სუნთქვა უფრო გაუძნელდა, ხრიალს უმატა. ბოლოს ერთი ღონივრად ამოისუნთქა, თითქო გულის დარდები თან ამოაყოლაო და აღარც ჩაუსუნთქია, ისე დალია სული.

ამ დროს მატარებელმა გუგუნით გაიარა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ საზარელი ჯახანი მაისმა. ამას მოჰყვა ჩოჩქოლი, ყვირილი, ტირილი... პეტრეს არა ესმოდა რა. ის ისევ პირქვე დაშობილი უძრავად იყო. ბოლოს წამოვარდა გიჟივით, ერთი დააშტერდა ლოგინს, „ვიმეო“ დაიღრიალა და ანიკოს გაეცვებულს ვვამს ხელახლა დაეცა...

კარებს არ ადებენ!—სურათი გოდდმინისა.

პეტრე ეაკონს ბონიერიმა მუჯლუგუნმა მოიყვანა.

— ადე, ადე, შე მხეცო, შე ავაზაკო! უყვიროდა ერთი მოხელე და სხვებიც ბნს აძლევდნენ. იქვე იდგა გაფითრებული, თმა აბურძგნილი სადგურის უფროსი. ყველა ერთხმად უყვიროდა:

— ამოდენა ხალხის ცოდო დაიდე... ვინ იცის, ჩვენც რა მოგველის! ჩვენც დაგვსჯიან!

პეტრე წამოდგა. ეერ გაეგო, ამოდენა ხალხი რას ლრიალებდა.

— რა იყო, რა გინდათ?

— თავს ნუ იკატუნებ!—შეუყვირა სადგურის უფროსმა—ჩქარა წამოდი! მატარებლები შენ დაელოდა, შენა ხარ დამნაშავე... ჩვენ არაფერში არ ვურევივართ...

პეტრე ზეზე წამოადგა და ძალად წაყვანა დაუპირეს.

— რას მიშვრებით!—იმეორებდა მალი-მალ პეტრე და თან გაცივებულ ვაგმს თვალს არ აშორებდა.

ბოლოს, როგორც იყო, ლანძღვა-გინებითა და მუჯლუგუნის კვრით გარედ გიიყვანეს და სადგურისაკენ გზას გაუყენეს. .

ბასალ

† პ. ა. კუმსკოი

დღეს ტფილისს მოასვენებენ და მიწას მიაბარებენ ტფილისის ვაჟთა 1-დ გიმნაზიის ინსპექტორის პეტრე ანტონის ძის კუმსკოის ვაგმს. განსვენებულმა ახალგაზრდამ სიღარიბეში გაატარა. ამის გამო დიდის გაჭირვებით დასრულა ტფილისის გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტი. ტფილისში დაბრუნებისას პირველ ხანებში საშსახური ვერ იშოვა და კერძო კაკვეთილებით იარსება თავს და არსებობდა. მერე ბროკიმნაზია კიისნა ტფილისში (ახლანდელი მე-III გიმნაზია) და იქ მიიწვიეს მასწავლებლად; აქედან 1896 წელს 1-დ გიმნაზიაში გადაიყვანეს მასწავლებლადვე. როდა აქ მეორე ინსპექტორის თანამდებობა დაწესდა, განსვენებული დაჭნიშნეს ამ ადგილზე. განსვენებული მეტის-მეტად უნაკარო კაცი იყო.

ვისაც 1-დ გიმნაზიაში საქმე ჰქონია, ყველა დასმოწმებს, რომ განსვენებული მთხოვნელს ისე არ კაისტუმრებდა, ვინც უნდა ეთქვა ეოფილიო ეგი, რომ დიდი თანაგრძნობა და მონაწილეობა არ კამოეხადებინა; ყოველს დინჯსა ბრძობდა, მთხოვნელი დაგმეოფილებული კეკლუტმრებინა, თუ სულ არ—ტკბილის, მეგობრულისა და თანაგრძნობითის სიტყვებით და ამოდებით მაინც.

განსვენებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სულ 39 წლის კაცი იყო.

ТФИЛИСИС ГАМГЕОПАА ЗАБАОЛЗИ

— ფილტრები კაქვთ?

— დღეს ასი კაცი კითხულობდა, ხუთადად ალარ იშოვება ტფილისში.

— რა მიკაქვთ ქალო?

— შაბა, შაბა, მიდალ წუდის დასაწმენდად.

ТФИЛИСИС ЗАБАОЛЗИ

— თქვენ ოდი ფაგდეოფი ბიეში ვინაცვი მოედ ქადაქში და ხაჩქაროდ ხაფაგდეოფთო ვეუშართეთ, ა მე ხაშსი მოგეეუანეო!

რედაქტორ-კომოგლეველი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ. 29 Марта 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ანბ—ისა.